შპს კერძო სკოლა ,,ივერონი“

# 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში

ხარისის მართვის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სექტემბერში, იანვრში და ივლისში განხორციელდა სამოქმედო გეგმის მონიტორინგი. მონიტორინგის მიზანია, შეფასდეს რამდენად განხორციელდა სამოქმედო გეგმით დაგეგმილი აქტივობები, რომელთა შესრულება 2024-2025 წლის განმავლობაში იყო განსაზღვრული. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნოით მოხდა სამოქმედო გეგმის შეფასება, გამისაზღვრა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდება 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები.

2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების შედეგებს წარმოგიდგენთ ანგარიშის სახით

## სტრატეგიული მიზანი 1. სწავლა -სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

| ამოცანა | აქტივობა | ანგარიში | მტკიცებულება |
|---|---|---|---|
| **1.1. სასწავლო კურიკულუმის დახვეწა და განვითარება** | 1.1.1. საგნობრივ ი კურიკულუმის განახლება | გასული სასწავლი წლის კურიკულუმებზე დაყრდნობით, მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით, საგნობრივ კათედრებზე მოხდა კურიკულუმების განახლება, შემუშავდა საგნობრივი კურიკულუმების ერთიანი ფორმა. კათედრებმა იმსჯელეს თემატური ერთეულის დაგეგმვის პროცესში განსახორციელებელ აქტივოებებზე და შუალედური სასწავლო მიზნების ფორმირებაზე. ასევე ძირითად რესურსთან ერთად დამხმარე რესურსების შერჩევაზე/ვალიდაცია. შინაარსობრივად განახლდა ინგლისურისა და ისტ-ის კურიკულუმები. | კურიკულუმის შევსების ინსრუქც<br>აკად. დირექტორის-ანგ. 2<br>ოქმი N1- დაწყ. კათ 24-25 +.docx |
| | 1.1.2 ინგლისურისა და ისტ-ის სასწავლო პროგრამების გაღრმავება | 2024-2025 სასწავლო წელს მოხდა ინგლისური ენისა და ისტ-ის სასწავლო პროგრამების გაღრმავება. კერძოდ, ინგლისურ ენაში საგაკვეთილო საათებს I-VI კლასებში **დაემატა 2-2 კვ. სთ. ,** სააღმზრდელო მეცადინეობას კი I-IV კლასებში დაემატა ასევე 2-2 სთ., რამაც შესაძლებლობა მოგვცა მოსწავლეებთან დამატებითი | ინგლ. ენა- კურიკ (2 კლ)..docx<br>ინგლ. ენა- კურიკ -V კლ.docx |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | მუშაობა შემდგარიყო - ინგლ. ენისა და მეტყველების გააქტიურების კუთხით; ხოლო ისტ-ში III-VI კლასებში არსებულ საგაკვეთილო საათებზე დამატებით შეტანილია **„Code Monkey”-ს** პროგრამა. | ოქმი N1- დაწყ. კათ 24-25 +.docx<br>+ოქმი N1 უცხ. ენების კათ 24-25 +. |
| **1.2 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა** | 1.2.1 გაკვეთილებზე დასწრება | 2024-2025 სასწავლო წელს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირება განხორციელდა აკადემიური დირექტორის, სასწ. ნაწილის გამგისა და ხარისხის მართვის სპეციალიტის მიერ. რომლის შემდეგაც მოხდა გაკვეთილის განხილვა მასწავლებლებთან ერთად. განსაკუთრებული ყურადღება მიექცათ ახალ მასწავლებლებს, რომლებმაც მითითებების გათვალისწინებით, მოკლე დროში შეძლეს არსებული ხარვეზების გამოსწორება. დაკვირვების შედეგების ასახვა მოხდა აკადემიური დირექტორის და სასწ, ნაწილის მიერ სპეცილურად შემუშავებულ ფორმაში. ,, გაკვეთილის მონიტორინგი“, რაზე დაყრდნობითაც მომზადდა გაკვეთილზე დაკვირვების ანალიზი. ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის დაკვირვების შედეგები განზოგადდა საფეხურების მიხედვით და აისახე საფეხურის სასწავლო პროცესის შეფასების ფორმებში. | სასწავლო პროცესისი შეფასე<br>სასწავლო პროცესის შეფასებ<br>სასწავლო პროცესის შეფასებ<br>გაკვ-ის მონიტ-ის მონაცემები (1 სემ).d<br>გაკვ-ის მონიტ-ის მონაცემები (2 სემ).d<br>+გაკვ-ზე დასწრების ანალიზ<br>+გაკვ-ზე დასწრების ანალიზ |
| | 1.2.2 მასწავლებელთა საჭიროების კვლევა; | სასწავლო წლის დასაწყისში, საგნობრივი კათედრების შეკრებებზე შესაბამისი **კითხვარების დახმარებით ჩატარდა კვლევა,** რის საფუძველზეც გამოიკვეთა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო საკითხები. | კითხვარი - მასწ-თა საჭიროები<br>ოქმი N1- დაწყ. კათ 24-25 +.docx<br>მასწ-ის ანგარიში-გეოგრ (7-12 კლ).do |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 1.2.3 კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მასწვლებელთა პროფესიული განვითარების დაგეგმვა-განხორციელება; | საჭიროებათა კვლევის საფუძველზეც გამოიკვეთა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო საკითხები. სწორედ ამ მიზნით, სკოლის სასწ. ნაწ. გამგემ აკად. დირექტორთან ერთად, ჩაატარა **ტრენინგები შემდეგ თემებზე:**<br>1- კურიკულუმის ჩარჩოს შედგენა;<br>2- როგორ შევადგინოთ რეფლექსია;<br>3- საგაკვეთილო გეგმის შედგენა<br>4- რეფლექსია კურიკულუმის თემებზე<br>5- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება<br>ჩატარებულმა ტრენინგებმა სასურველი შედეგი გამოიღო - ერთობლივად შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო სრულად ასახავს მასწ-ის საქმიანობას, დასახული მიზნების სისწორესა და მის შესაბამისობას ესგ-სა და სსგ-სთან.<br>2024-2025 სასწავლო წელს **„Code Monkey"-ს** პროგრამის დანერგვსთან დაკავშირებით გადამზადდა ისტ-ის პედაგოგი. | აკად. დირექტორის-ანგ. 2 |
| **1.3 სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის გააქტიურება** | 1.3.1 შეხვედრები მშობელთა სათათბიროსთან | 2024-2025 სასწავლო წელს, მშობელთა სათათბირო არ იქნა არჩეული. თუმცა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მიზნით ჩატარდა მშობელთა კრებები სწავლის დაწყებისთანავე (სექტემბრში), I და II სემესტრის დასასრულს რომლებზედაც მათ მიეწოდათ სიახლეებთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია. | მშობ. კრების ოქმი N1 (8 კლ).docx |
| **1.4 მოსწავლეთა პროგრესზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების ს** | 1.4.1 საგნობრივ კათედრებზე განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებისასთან დაკავშირებით | სასწავლო წლის დაწყებისთანავე (სექტემბერში) საგნობრივ კათედრებზე მოხდა შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა. აკადემიური დირექტორმა და სასწავლო ნაწილის გამგემ | ოქმი N4 - დაწყ. კათ. (ეს) (II სემ. ზოლ<br>აკად. დირექტორის-ანგ. 2 |

| | | | |
|---|---|---|---|
| **ისტემის<br>განვითარება** | ტრენინგების<br>ჩატარება; | საგნობრვ კათედრებს მისცეს<br>მითითებები სამიზნე ცნებებზე<br>ორიენტირებული<br>განმსაზღვრელი და<br>განმავითარებელი შეფასების<br>რუბრიკების შექმნასთან<br>მიმართებით.<br>2024-2025 წელს სკოლის მიერ<br>დაფინანსებული ტრენინგი<br>შეფასების სისტემებთან<br>დაკავშირებით არ ჩატარებული.<br>თუმცა კათედრებზე<br>მსწავლებლები ერთმანეთს<br>უზიარებდნენ გამოცდილებას<br>და ასევე ერთობრივად<br>ეცნობოდნენ ინტერნეტ<br>სივრცეში შეფასებასთან<br>დაკავშირებულ საკითხებსა თუ<br>ნიმუშებს. | |
| | 1.4.2<br>მასწავლებლებისაგან<br>უკუკავშირის მიღება | საგნობრივ კათედრებზე<br>შეფასებასთან დაკავშირებული<br>საკითხების მსჯელობის შემდეგ,<br>მასწავლებლებმა თემის<br>ფარგლებში შექმნეს სამიზნე<br>ცნებებზე ორიენტირებული<br>განმსაზღვრელი და<br>განმავითერებილი რუბრიკები | **დაწყ. საფ.<br>მათემატიკა -II კლ**<br>განმავითარებელი<br>შეფასების რუბრ<br>**საბაზისო საფ. ისტორია<br>VII კლ**<br>განმსაზღვრელი<br>შეფასების რუბრი<br>განმავითარებელი<br>შეფასების რუბრ<br>**საშუალო საფ.<br>მოქალაქეობა - XI კლ**<br>განმსაზღვრელი<br>შეფასების რუბრი<br>განმავითარებელი<br>შეფასების რუბრი |
| **1.5<br>სწავლა-<br>სწავლების პრ<br>ოცესში<br>თანამედროვე,<br>ციფრული და<br>მულტიმედიუ** | 1.5.1.2<br>საგაკვეთილო<br>პროცესში<br>ციფრული<br>ტექნოლოგიების<br>აქტიური გამოყენება | მასწავლებელთა უმრავსელობა<br>საგაკვეთილო პროცესში<br>**აქტიურად იყენებს** თანამედროვე<br>ციფრულ და მულტიმედიურ<br>ტექნოლოგიებს, რაც ნათლად<br>აისახება მათ მიერ წარმოდგენილ<br>რესურსებსა და მოსწავლეთა მიერ | გეოგრაფია -VII<br>კლ.კურიკულუმი.c<br><br>გაკვ. გეგმები და<br>რეფლექსიები: |

| | | | |
|---|---|---|---|
| რი ტექნოლოგიებ ის ფართო დ გამოყენება და სხვა თანამედ როვე სასწავლ ორესურსების განვითარება | | შექმნილ პრეზენტაციებში და მათ მიერ **გაწერილია რეფლექსიებში.** 2024-2025 სასწავლ წელს, დაწყებით საფეხურზე III-VI კლასებში დაინერგა **„Code Monkey"**-ს სასწავლო პროგრამა, რაც სამომავლოდ კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა მიერ ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას. | გაკვ-ის გეგმები და რეფლექსიები.docx |
| | 1.5.1.3 საგაკვეთილო პროცესში თანამედროვე ციფრული და მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენება | საგნობრივი კურიკულუმების რესურსების ველში გაწერილია ის ციფრული თუ მულტიმედიური რესურსები რაც თემის ფარგლებში არის დაგეგმილი, დაგეგმილი რესურსების ეფექტურობა კი აღწერილია თემის რეფლექსიაში. ასევე გაკვეთილზე დკვირვების დროს თვალსაჩინოა საგაკვეთილო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, რაც ასევე ასახულია დაკვირვების პროცესებში/ სასწავლო პროცესის შეფასება. | გეოგრაფია -VII კლ.კურიკულუმი.c |

## სტრატეგიული მიზანი 2. სკოლის ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

| ამოცანა | აქტივობა | ანგარიში | მტკიცებულება |
|---|---|---|---|
| **2.1 სკოლის ინფრასტრუქტურის განახლება** | 2.1.1 სკოლის შენობისა და ეზოს კეთილმოწყობა | სასწავლო წლის დასაწყისში, სექტემბერ-ოქტომბერში განხორციელდა სკოლის ინფრასტრუქტურის განახლება: **გარემონტდა** საკლასო ოთახები (მათ შორის კაპიტალურად გაკეთდა **3 საკლასო ოთახი:** შეიცვალა ფანჯრები, ჭერი, მოიხვეწა იატაკები, | გარემონტებული საკლასო ოთახები.( მეტალის ფანჯრ 2.pdf მეტალის ფანჯრ 1.pdf |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ჩაისვა დამცავი ბადეები;); **სკოლის ეზოს კეთილმოწყობა** განხორციელდა ნაწილობრივ. | |
| **2.2 მატერიალური და ციფრული რესურსების შევსება /განახლება** | 2.2.1 სასკოლო მერხებისა და სკამების შეძენა; | 2024-2025 სასწავლო წელს შეძენილია 15 სასკოლო მერხი და სკამი; საკლასო ოთახებში, ლაბორატორიაში, დერეფანში, კანცელარიასა და სამზარეულოში განთავსდა კარადები, სამუშაო მაგიდები, დაიკიდა თაროები; **შეკეთდა** დაზიანებული სასკოლო ინვენტარი. დაემატა სათვალთვალო კამერები; გარდა ამისა, დაწყებულია სკოლის ერთ-ერთი დერეფნის სარემონტო სამუშაოები. გათბობის სეზონს სკოლა მომზადებული შეხვდა - **გამოიცვალა გაზის გამათბობელი** ქვაბი, რომელიც უზრუნველყოფს შენობის 2/3-ის გათბობას, სამზარეულოში ასევე **დამონტაჟდა** გაზის დეტექტორები. | PDF ნ. ზაქარეიშვილისგან<br>PDF ნ. ზაქარეიშვილისგან<br>PDF გათბობის ქვაბი.pdf<br>PDF კამერების დამატება.pdf |
| | 2.2.2 კომპ. ტექნიკის განახლება; | 2024-2025 სასწავლო წლისათვის შეკეთდა და გაძლიერდა 6 კომპიუტერი. | PDF კომპიუტერების შეკეთება- ხელშეკ |
| | 2.2.3 ტექნიკური აღჭურვილობის მოწესრიგება და ინტერნეტის პერიოდული ხარვეზების გამოსწორება (სიხშირის გაზრდა). | 2024-2025 სასწავლო წელს გაძლიერდა ინტერნეტის სიხშირე. - | PDF იტერნ. სიხშირის გაზრდა- ხელშეკრ.. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **2.3 ფიზიკურადუსაფრთხო გარემოს გაუმჯობესება** | 2.3.1 მასწავლებელთა მორიგეობა, | სკოლის ორივე სართულზე შესვენებებზე ხორციელდებოდა მასწავლებელთა **მორიგეობა** შესაბამისი განრიგის მიხედვით; |  |
| | 2.3.2 სან-ჰიგიენური ნორმების დაცვა; | **დამლაგებლების მიერ** მთელი დღის მანძილზე ხორციელდება სან-ჰიგიენური **დასუფთავება** შესაბამისი ნორმების დაცვით; | დამლაგებლის ჩანაწერები.docx |
| | 2.3.3. მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით, წლის განმავლობაში სასკოლო პროექტებისა და გაკვეთილების ჩატარება; | მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით, წლის განმავლობაში კლასის დამრიგებლებმა სადამრიგებლო საათის ფარგლებში დაგეგმეს და განახორციელეს შემდეგი აქტივობები: სკოლის ექთანი შეხვდა დაწყებითი კლასების მოსწავლეებს და მათთან საუბრები ჰქონდა ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ, ზამთრის პერიოდში რესიპატორული დაავადებების პრევენციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე და ა.შ.; 2024-2025 სასწავლო წელს სასკოლო **პროექტად** დასახელდა თემა **„ჯანსაღი ცხოვრების წესი",** რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა საგნებში მოსწავლეებმა მთელის წლის განმავლობაში დაამუშავეს თემები დაწლის ბოლოს წრმოადგინეს **პრეზენტაციები** | ფოტოები: სასკოლო პროექტი 2024-2025.docx |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | **სასკოლო პროექტის კვირეულის ფარგლებში;** გარდა ამის, **ფიზ. აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებზე** მასწავლებელი გამუდმებით ამახვილებს ყურადღებას აღნიშნულ საკითხზე - თუ რა მნიშვნელობა აქვს ჰიგიენური ნორმების დაცვას მოზარდის ჯანმრთელობაზე. ამასთან დაკავშირებით გაზაფხულზე ჩატარდა **„მხიარული სტარტების"** დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მონაწილეობით | |

**სტრატეგიული მიზანი 3. სკოლის მართვასთან დაკავშირებული მიდგომების სრულყოფა**

| ამოცანა | აქტივობა | ანგარიში | მტკიცებულება |
|---|---|---|---|
| **3.1 სკოლის მმართველობაში დემოკრატიული პრინციპების გაძლიერება.** | 3.1.1 პედსაბჭოსა და კათედრების როლის გაძლიერება სკოლის მართვაში. | სკოლის პედ. საბჭო ჩართულია ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების განხილვაში, როგორიცა სასკოლო სასწავლო გეგმა. საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ საგნობრივი კურიკულუმების განახლებას, დამხმარე რესურსების ვალიდაციას და სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე ფორმალურთან ერთად არაფორმალური აქტივობების/ ღონისძიებების დაგეგმვა-გახორციელებას. 2024-2025 სასწავლო | პედსაბჭოს ოქმი:<br>ოქმი N1 24-25 09.09.24 +.docx<br><br>აკად. დირექტორის-ანგ. 2 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | წელს პედსაბჭოს ინიციატივა იყო ეზოს ინფრასტრუქტურის მოწყობა სასკოლო აქტივობებისთვის. დაწყებული სამუშაოები და 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა დასრულდეს;<br>ქართული ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ორგანიზებით მთელი წლის განმავლობაში შეგროვდა მაკულატურა. ღონისძიება მიეძღვნა დედამიწის დღეს.<br>ასევე სპორტის და ესტეთიკის კათედრა აქტიურად იყო ჩართული სასკოლო პროექტის განხციელებაში „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ | |
| **3.2 სკოლის მართვაში ციფრული ინსტრუმენტ ების დანერგვა და განვითარება.** | 3.1.2 ემისისბაზის განახლება, ელ. ჟურნალის მონაცემების განახლება | ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან, როგორც წესი, განახლდა **ემისის ბაზები** და **ელექტრუნული ჟურნალის** მონაცემები. 2024-2025 სასწ. წლიდან სკოლაში დანერგილია **ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (schoolbook),** რომელსაც სკოლა აქტიურად იყენებს. | PDF<br>სქულბუქის ხელშეკრ 1_merged. |

4. ადამიანური რესურსის მართვის სისტემების სრულყოფა

| ამოცანა | აქტივობა | ანგარიში | მტკიცებულება |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| **4.1 კვალიფიციური კადრების მოზიდვა** | 4.1.1 გამოცხადებული კონკურსები და კვალიფიციური კადრების მოზიდვა | კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით, ვაკანტური ადგილების შესავსებად, სკოლა პერიოდულად აცხადებს **ღია კონკურსს.** ამ გზით სექტემბრის თვეში აყვანილნი არიან მოქალაქეობისა და ინგლისური ენის მასწავლებლები. | ვაკანსია - ბრძ.- მარტი 2025.pdf<br>oqmi N3 შედეგებზე 14.03.2<br>oqmi N2 გასაუბრება 14.03.2<br>oqmi N1 - გადარჩევა 13.03.202 |
| **4.2 ადამიანური რესურსის პროფესიული გან ვითარების ხელშეწყობის მექ ანიზმების დახვეწა** | 4.2.1 პერსონალის შეფასება; შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციები; | ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში ხორციელდება პერსონალის შეფასება შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. კერძოდ, სკოლის დირექტორი აფასებს **დირექცია-ადმინისტრაციისა და ტექ. პერსონალის** მუშაობას, ხოლო აკად. დირექტორი სასწ.ნაწილთან ერთად - აფასებს **მასწავლებლების საქმიანობასა და სააღმზრდელო ჯგუფების** ხელმძღვანელთა მუშაობას. | ადამიანური რესურსის მონიტო<br>ოქმი N3- პედ.საბჭო (ბოლო) |
| **4.3 სამოტივაციო მექანიზმების დახვეწა** | 4.3.1 წამახალისებელი აქტივობების განხორციელება | სკოლის პედაგოგ-თანამშრომლების საქმიანობის მოტივაციიასს ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს **წამახალისიბელ აქტივობებს:** სასწ. წლის ბოლოს თანამშრომელთა | წახალისებისა და მადლობის ბრძანებ<br>მასწ-თა ექსკურსია 05.07.25.docx |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | მუშაობის შეფასების საფუძველზე, ბრძანებით 3 თანამშრომელს გამოეცხადა **მადლობა**, (საუკეთესო მასწავლებელს, დამრიგებელს, აღმზრდელს). დასახელდა საუკეთესო კლასი (IX კლ). მათ გადაეცემათ **ფულადი ჯილდო;** წლის ბოლოს სკოლის თანამშრომლებისთვის სკოლის დაფინანსებით მოეწყო ექსკურსია მცხეთის რაიონში | |

## სტრატეგიული მიმართულება 5. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებების გაუმჯობესება

| ამოცანა | აქტივობა | ანგარიში | მტკიცებულება |
|---|---|---|---|
| **5.1 სასწავლო პროცესში ინკლუზიური /დიფერენცირებული მიდგომების დახვეწა** | 5.1.1. საჭიროების შემთხვევაში ინდ. სასწ. გეგმები; მოდიფიცირებლი საგნ. კურიკ-ის შემუშავება; ისგ სხდომები; | 2024-2025 სასწავლო წელს სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავდა | |
| **5.2 დამატებითი სერვისების განვითარება** | 5.2.1 სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა; ესგ-ით გაუთვალისწინებელი საგანმ. და სააღმზრდ. მომსახურების შეთავაზება; წრეებისა და კლუბების განახლება | გასული სასწავლო წლის ბოლო გამოკითხვის საფუძველზე 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში ჩამოყალიბდა **უცხოური ენების კლუბი.** მოგზაურთა კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, წიგნის მოყვარულთა და ხელოვნების მოყვანულთა კლუბები. ინგლისური ენის საათები გაიზარდა | აკად. დირექტორის-ანგ. 2 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | სააღმზრდელო მომსახურების პერიოდშიც | |
| **5.3 მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების დანერგვა და განვითარება** | 5.3.1 საბაზო და საშუალო საფეხურის სადამრიგებლო საათის თემატიკის ფარგლებში შემუშავებული პროფ. ორიენტაციისადა კარიერის დაგეგმვა | მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების დანერგვისა და განვითარების მიზნით, კლასის დამრიგებლებს **სადამრიგებლო საათის ფარგლებში,** მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით შემუშავებული აქვთ პროგრამა, რომლის ფარგლებშიც განიხილავენ შესაბამის საკითხებს, თემებს და ანხორციელებენ აქტივობებს. მათ შორის აღსანიშნავია: **ეთნოგრაფიული მასტერკლასები და ვორქშოფები (დიდუბე-პლაზა VIII კლ);** მოსწავლეთა **ვიზიტი კაზრეთის არ ემ ჯი საწარმოში (ბოლნისის ოქროს საბადოზე** - VIII,IX კლ); **„ბარამბოსა" და „კოკა-კოლას" საწარმოებში** VIII-X კლ) | 1- სადამრ. პროგრამა.docx<br>21- I სემ-ის დამრ. ანგარიში.docx<br>არ ემ ჯი+ბარამბო+კოკა- |
| | 5.3.2 პროფ.ორიენტაციის ადა კარიერის დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და განხორციელება; | 2024-2025 სასწავლო წელს პროფორიენტაცია და კარიერული დაგეგმვა მხოლოდ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. ცალკე პროგრამა არ შემუშავებულა. | |

2024-2025 სამოქმედო გეგმის შეფასება

| პრობლემა | პრობლემის აღწერა სათანადო მაგალითებით | იდენტიფიცირებული პრობლემის მნიშვნელობა |
|---|---|---|
| 5.3.2 პროფ. ორიენტაციისადა კარიერის დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და განხორციელება; | სკოლას ცალკე პროგრამის სახით არა აქვს შემუშავებული პროფ. ორიენტაციისა და კარიერული დაგგეგმვის პროგრამა<br><br>**შესრულების მაჩვენებელი 0%** | სკოლას სურვილი ჰქონდა 2024-2025 სასწავლო წელს შეექმნა ცალკე პროგრამის სახით ,,პროფ. ორიენტაციისა და კარიერული დაგგეგმვის პროგრამა“ მვა 2024-2025 წელს ვერ განახორციელა, თუმცა სადამრიგებლო პროგრამების ფარგლებში საბაზო და საშუალო საფეხურზე განხორციელდა ძირითადად პროფორიენტაციის კუთხით აქტივობები. |
| 2.1.1 სკოლის შენობისა და ეზოს კეთილმოწყობა | **სკოლის ეზოს კეთილმოწყობა მიმდინარეობს.**<br>თუმცა, სასწავლო წლის დასაწყისში, სექტემბერ-ოქტომბერში განხორციელდა სკოლის ინფრასტრუქტურის განახლება: **გარემონტდა** საკლასო ოთახები (მათ შორის კაპიტალურად გაკეთდა **3 საკლასო ოთახი:** შეიცვალა ფანჯრები,ჭერი, მოიხვეწა იატაკები);<br><br>**შესრულების მაჩვენებელი 50%** | სასწავლო პროცესის მიზნებისთვის, ფორმალური და არაფორმალური აქტივობების განსახორციელებბლად სასურველია სკოლის ეზოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. კერძოდ, ღია საკლასო ოთახების მოწყობა. |